



# შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

*„ვამტკიცებ“*

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში  
კახაბერ კირტავა

4 დეკემბერი 2020 წელი

N 36/36

ვგზ.: N 1

ქედის მუნიციპალიტეტის 2018-2019  
წლების საქმიანობის შესაბამისობის  
აუდიტი  
(01.01.2018 - 31.12.2019)

## შინაარსი

ძირითადი ნაწილი

|                                            |    |
|--------------------------------------------|----|
| ტერმინები და შემოკლებები                   | 2  |
| შემაჯამებელი მიმოხილვა                     | 3  |
| რეკომენდაციები                             | 5  |
| 1.შესავალი                                 | 6  |
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა            | 6  |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა                  | 6  |
| აუდიტის საგანი                             | 6  |
| აუდიტის მასშტაბი                           | 6  |
| აუდიტის კრიტერიუმები                       | 6  |
| აუდიტის მიზანი                             | 7  |
| აუდიტის მეთოდოლოგია                        | 7  |
| ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ | 7  |
| 2.აუდიტის მიგნებები                        | 8  |
| საკონტაქტო ინფორმაცია                      | 21 |

ტერმინები და  
შემოკლებები

მერია – ქედის მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

## შემაჯამებელი მიმოხილვა

**ფარული სამუშაოს  
დადასტურების გარეშე,  
ხარვეზით  
შესრულებული  
სამუშაოებისათვის  
ანაზღაურებული  
თანხები**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქედის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

მერიის ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმღები კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტებით არ არის შეფასებული შესრულებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან და ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობა, ფარული სამუშაოს აქტების წარმოდგენის გარეშე ანაზღაურებულია 1,305,016 ლარი. მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო ხარვეზით შესრულებული სამუშაოების გამოვლენა და აღმოფხვრა. შედეგად, არასრულყოფილად შესრულებული სამუშაოების პირობებში, ბიუჯეტიდან გადახდილია სრული სახელშეკრულებო ღირებულება – 456,030 ლარი, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს და წარმოშობს არამართლზომიერი ქმედების რისკებს.

**გარე განათების ქსელის  
გაფართოების და  
მოწყობის სამუშაოებში  
არსებული ხარვეზები**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები არასრულყოფილად არის შესრულებული. კერძოდ, ფარული სამუშაოს აქტების წარმოდგენის გარეშე და განათების ბომბზე საპაერო კაბელის პროექტთან შეუსაბამოდ მონტაჟის პირობებში, მიმწოდებელზე გადახდილია, ჯამში, 56,037 ლარი.

**არაერთგვაროვანი  
მიდგომით  
განხორციელებული  
შესყიდვები**

მერიის მიერ არათანაბარი კონკურენციის პირობებში, პრეტენდენტები შეირჩევა არაერთგვაროვანი მიდგომით. შედეგად, გამარჯვებულად გამოვლინდა მაღალი ფასის წარმომდგენი და შესაბამისი გამოცდილების არმქონე პრეტენდენტები. აღნიშნული გარემოება სახელმწიფო შესყიდვის კონკრეტულ პრეტენდენტზე მისადაგების და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიან ხარჯვაზე მიუთითებს.

**საპროექტო  
დოკუმენტაციის  
შედგენა - სარგებლობა**

მერიის მიერ რიგ შემთხვევებში საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებისათვის სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა გარემოებათა დეტალური ანალიზის გარეშე, არასწორად განისაზღვრა სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, მიღებულია ხარვეზით შედგენილი პროექტი, რის შედეგად დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამუშაოები, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს პირგასამტეხლო არ დაეკისრა. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მზად იყო, სამუშაოების შესყიდვა არ განხორციელებულა და არც პრიორიტეტის დოკუმენტებით არის დაგეგმილი.

**საკრებულოს წევრების  
ხარჯების ანაზღაურება**

ქედის მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად, დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გასცა 100,800 ლარი.

**შიდა აუდიტის  
სამსახურის საქმიანობა**

მერიის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მერიის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

## რეკომენდაციები ქედის მუნიციპალიტეტის მერიას:

**რეკომენდაცია N1.** მერიამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს განსახორციელებელი მომსახურების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას, ხარვეზის დროულად გამოვლენას და სათანადო რეაგირებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დაადგინოს მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების პირობებში სამუშაოების ჩაბარების მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**რეკომენდაცია N2.** მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რაც დროულად და სრულად გამოავლენს სატენდერო პირობებთან შეუსაბამოდ შესრულებულ სამუშაოებს და უზრუნველყოფს მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ განახორციელოს მიმწოდებლებზე დაუსაბუთებლად გადახდილი თანხის იდენტიფიცირება და ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხვა, ხოლო შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

**რეკომენდაცია N3.** მერიამ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პრეტენდენტების მიმართ სამართლიან და ერთგვაროვან მიდგომას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ განიხილოს არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების, გამოცდილების არმქონე პრეტენდენტის გამარჯვებულად გამოცხადებისა და სათანადო დასაბუთების გარეშე ფარულ სამუშაოებზე ხარჯის გაწევის მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

**რეკომენდაცია N4.** მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზანშეწონილობას და ხელშეკრულების შესრულებაზე სათანადო მონიტორინგს. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების უკეთ წარმოებას და მინიმუმამდე შეამცირებს ხარვეზებით შედგენილი პროექტების მიღებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გამოიკვლიოს შესყიდვაში არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

**რეკომენდაცია N5.** მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. შესაბამისად, ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის პირობებში.

**რეკომენდაცია N6.** ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლასა და შეფასებას, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი.

## 1. შესავალი

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

### აუდიტის საგანი

ქედის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

### აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2018-2019 წლებში ქედის მუნიციპალიტეტის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

### აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N25 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

- ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N26 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ;
- ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 27 დეკემბრის N2093 ბრძანება, ქედის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული დასრულებული სამუშაოების მისაღებად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციისა და მისი წარმოდგენის პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

## აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

## აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- დოკუმენტური შემოწმება;
- ფიზიკური დათვალიერება;
- ინტერვიუები;
- დაკვირვება.

## ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. მერიის საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს მერი. მერიის სტრუქტურა შედგება 9 სტრუქტურული ერთეულისგან და დასაქმებულია 87 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი: დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა N3.

## 2. აუდიტის მიგნებები

### 2.1 ინფრასტრუქტურული ღონისძიებები

მერიის მიერ ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის სულ გაწეულია ხარჯი – 7,293,567 ლარი, მათ შორის 2018 წელს – 3,192,365 ლარი, ხოლო 2019 წელს – 4,101,202 ლარი. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, შესრულებულია საავტომობილო გზების, ხიდებისა და შენობა-ნაგებობების მშენებლობის, წყლის სისტემის რეაბილიტაციის და სხვადასხვა კეთილმოწყობითი სამუშაოები.

#### 2.1.1 ფარული სამუშაოს დადასტურების გარეშე, ხარვეზით შესრულებული სამუშაოებისათვის ანაზღაურებული თანხები

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დასრულების შემდეგ, სამუშაოების მიღება უნდა განხორციელდეს შესაბამისი დოკუმენტაციის<sup>1</sup> წარმოდგენის საფუძველზე. შესყიდვასთან დაკავშირებით, სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების<sup>2</sup> პირობებით, სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, საპროექტო დოკუმენტაციისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად. აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

**ფაქტობრივი გარემოება N1.** მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე, მერიის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით, ნაჩვენებია შესრულება და მიმწოდებელს აუნაზღაურდა 7,293,567 ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტებით არ არის ასახული შესრულებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების და მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად შესრულება, ხოლო წყლის სისტემის რეაბილიტაციის, ბაგა-ბაღების მშენებლობის, გარე განათების მოწყობისა და სხვა 298 დასახელების სამუშაოებიდან, 38 შემთხვევაში, 1,305,016 ლარის ღირებულების სამუშაოებზე, რომელიც მოიცავს ფარულ სამუშაოებს, არ არის შედგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფარული სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი აქტები.<sup>3</sup>

აღნიშნულ პირობებში მერიის მიერ რაიმე სახის დამატებითი აქტივობა არ არის განხორციელებული და გადახდილია შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოების სრული ღირებულება.

**ფაქტობრივი გარემოება N2.** ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში შესრულებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, აუდიტის პერიოდში, ძირითადი ინფრასტრუქტურული 76 ობიექტიდან, შერჩევით განხორციელდა 27 ობიექტის ვიზუალური დათვალიერება. შედეგად დადგინდა, რომ ოთხ შემთხვევაში სამუშაოები არასრულყოფილად და ხარვეზით არის შესრულებული,

<sup>1</sup> ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N2093, 27.12.2017. წარმოსადგენი დოკუმენტები: ობიექტის სრული დასახელება, ობიექტის ზოგადი მიმოხილვით და ძირითადი მახასიათებელი მაჩვენებლების მითითებით; ფარული სამუშაოს აქტები; გამოყენებული სამშენებლო მასალების ლაბორატორიული გამოცდის დასკვნა; ასფალტბეტონის ან ცემენტბეტონის ნარევის, ასევე საფარიდან ამოჭრილი ნიმუშების ლაბორატორიული დასკვნა; შესაბამისი გადახდის სერტიფიკატები და შესაბამისი სერტიფიკატები (პასპორტები) ქარხნული წესით დამზადებულ კონსტრუქციაზე. 2 ხელშ. N49, 25.02.2018 – 97,760 ლარი; ხელშ. N46, 27.02.2019 – 90,999 ლარი; ხელშ. N164, 19.08.2019 – 113,068 ლარი.

<sup>3</sup> სოფელ ზენდიდისა და ცხემნის წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია – 97,649 ლარი; ხარაულის ბაგა-ბაღის კეთილმოწყობა – 50,990 ლარი; დანდალოს თემში, ოტოლაძეების უბანში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა – 59,323 ლარი და სხვ.

ხოლო მერიის მიერ აუდიტის პერიოდში სათანადო ზომები არ არის მიღებული და გადახდილია შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოების სრული ღირებულება, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის სოფლების ზენდიდისა და ცხემნის მოსახლეობის წყლით უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებით,<sup>4</sup> შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენს 97,760 ლარს. მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მერიის მიერ 2018 წლის ივლისში სამუშაოები ჩათვლილია დასრულებულად, მიღებულია და მიმწოდებელზე გადახდილია 97,650 ლარი.

ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ მშენებლობის დასრულებიდან დღემდე მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, წყლის ცენტრალური მაგისტრალის დონე მაღალია სათავე ნაგებობის (კაპტაჟის) დონეზე, რაც იწვევს წყლის მიუწოდებლობას და ნაკლოვანების გამოსწორებისათვის დამატებითი სამუშაოები ჩასატარებელი.

აღნიშნული გარემოებით დასტურდება, რომ მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ<sup>5</sup> სამუშაოების მიმდინარეობის და მიღება-ჩაბარების ეტაპზე არ განხორციელდა სათანადო ღონისძიებები, კერძოდ, შესრულებაში ნაჩვენებ სამუშაოებზე არ ჩატარებულა ექსპერტიზა, არ არის გათვალისწინებული წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის დონეების არათანაფარდობის პირობებში წყლის მიუწოდებლობის რისკები და არ განხორციელეს მოსახლეობისთვის წყლის ფაქტობრივი მიწოდება. აღნიშნულ პირობებში, მერიამ ჩაიბარა სამუშაოები და მიმწოდებელს აუნაზღაურა სრული სახელშეკრულებო ღირებულება, 97,760 ლარი, რამაც შესაძლოა განაპირობოს ბიუჯეტიდან დამატებით ფინანსური რესურსის ხარჯვის საჭიროება.

- აწჳესის დასახლებაში საზაფხულო თეატრის მშენებლობისათვის<sup>6</sup> ბიუჯეტიდან ჯამში გადახდილია 165,019 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით მშენებლობა დასრულებულია და საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2018 წელს, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ სამშენებლო სამუშაოები ხარვეზითაა შესრულებული.<sup>7</sup> აქვე უნდა აღნიშნოს, რომ შესრულებულ სამუშაოებზე არ ჩატარებულა ექსპერტიზა, ამასთანავე, შესრულებულ სამუშაოებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საგარანტიო ვადა 3 წელი და მერიას უფლება აქვს მიმართოს მიმწოდებელს ხარვეზის გამოსწორებისათვის, თუმცა აღნიშნული უფლება აუდიტის პერიოდში მერიას არ გამოუყენებია.

- ანალოგიური ხარვეზებია დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩასთან მდებარე მინი-სპორტული მოედნის სარეკონსტრუქციო სამუშაოების და სოფელ პირველი მაისის ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოების შესრულებაშიც.<sup>8</sup> კერძოდ, სპორტული მოედნის მშენებლობისათვის მიმწოდებელზე გადახდილია

<sup>4</sup> NAT180000911, ხელშეკრულება N49, 28.02.208, ამხანაგობა „ემილ-2014“.

<sup>5</sup> შესრულებული სამუშაო დადასტურებულია მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერს ვიცე მერი, არქიტექტურის სამსახურის, ზედამხედველობის სამსახურის და ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები. მერიის პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით, ექსპერტიზა ხორციელდება 300,000 ლარზე მეტი ღირებულების და რთული ხასიათის მქონე სამუშაოების პროექტებზე, მოცემულ შემთხვევებზე ექსპერტიზა არ არის მოთხოვნილი და არც განხორციელებულა.

<sup>6</sup> NAT 170000847, ხელშეკრულება N101, 07.04.2017, შპს „ახალშენი“ – 133,198 ლარი; NAT 180006138, ხელშეკრულება N 132, 15.06.2018, შპს „ჯიჯი - 13“ – 31,821 ლარი, ჯამში 165,019 ლარი.

<sup>7</sup> დაზიანებულია კედლების ზედაპირები და შენობის პერიმეტრზე ბეტონის საფარი, ჭერზე არ არის გაკეთებული თაბაშირმუყაოს ფურცლები, არ არის მოწყობილი ჭერისა და კედლის განათებები.

<sup>8</sup> NAT190000940, ხელშეკრულება N 46, 27.02.2019, შპს „მშენებელი“ – 90,999 ლარი; NAT190010542, ხელშეკრულება N164, 19.08.2019, შპს „ლადა“ – 113,068 ლარი.

შესრულებული სამუშაოების ღირებულება - 90,994 ლარი, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ სამუშაოები უხარისხოდაა შესრულებული, დაზიანებულია ღობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მოედანს არ აქვს შესასვლელი კარი, ხოლო ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოებისათვის გადახდილია ბიუჯეტიდან 102,367 ლარი, თუმცა სამუშაოები აქაც უხარისხოდაა შესრულებული.<sup>9</sup>

შესრულებულ სამუშაოებზე არ ჩატარებულა ექსპერტიზა, ამასთანავე, მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება, რომ მიმწოდებელს საგარანტიო ვალდებულების პირობებში გამოეწერებინა არსებული ხარვეზი.

## დასკვნა

მერიის ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმღები კომისიის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტებით არ არის შეფასებული 7,293,567 ლარის შესრულებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან და ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობა. ფარული სამუშაოს აქტების წარმოდგენის გარეშე ანაზღაურებულია არანაკლებ 1,305,135 ლარი. ასევე მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო ხარვეზით შესრულებული სამუშაოების გამოვლენა და აღმოფხვრა. შედეგად, არასრულყოფილად შესრულებული სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან გადახდილია, არანაკლებ, 456,030 ლარი, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს და წარმოშობს არამართლზომიერი ქმედების რისკებს.

## რეკომენდაცია N1 ქედის მუნიციპალიტეტის მერიას:

მერიამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს განსახორციელებელი მომსახურების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას, ხარვეზის დროულად გამოვლენას და სათანადო რეაგირებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დაადგინოს მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების პირობებში სამუშაოების ჩაბარების მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

## 2.1.2 გარე განათების ქსელის გაფართოების და მოწყობის სამუშაოებში არსებული ხარვეზები

**კრიტერიუმი:** ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის გაფართოებისა და მოწყობის სამუშაოები რეგულირდება მერიასა და მიმწოდებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით,<sup>10</sup> რომელიც ითვალისწინებს მიწის სამუშაოებს, განათების ბოძების, სანათების და საპარო ხაზის დამონტაჟებას, ასევე მასთან დაკავშირებით თანმხვედრ სხვა სამუშაოებს.

**ფაქტობრივი გარემოება:** მერიის მიერ, 2018-2019 წლებში, გარე განათების გაფართოებისა და განათების მოწყობის სამუშაოებისათვის გაფორმებულია 11 ხელშეკრულება. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების აქტის ფორმა N2-ის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლებზე გადახდილია, ჯამში, 667,081 ლარი.

სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობებით, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების ეტაპზე მიმწოდებელს ასევე უნდა წარმოედგინა ფარული სამუშაოს აქტები და მასალების ხარისხის სერტიფიკატი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სულ შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში, ფარული სამუშაოები შეადგენს 63,758 ლარს, საიდანაც 42,263 ლარის ღირებულების

<sup>9</sup> ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ დაზიანებულია შენობის სახურავი, ვერ აკავებს წვიმის წყალს, შედეგად შენობის ჭერიდან ჩამოყრილია ბათქაში, დაზიანებულია ჭერის და კედლის შეღებილი ზედაპირები.

<sup>10</sup> აუდიტი მოიცავს 11 შემთხვევაში გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

|                                                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|-------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                                         | <p>სამუშაოებზე არ არის წარმოდგენილი ფარული სამუშაოს აქტები, ამასთანავე, გამოყენებულ მასალებზე არასრულადაა წარმოდგენილი სერტიფიკატები.</p> <p>აუდიტის პერიოდში, მერიის წარმომადგენლების მონაწილეობით, შერჩევით გადამოწმდა შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოების ფაქტობრივი მდგომარეობა. შედეგად დადგინდა, რომ შესრულებაში ნაჩვენებია 45,895 გრძ. მ საჰაერო სივ. კაბელის მონტაჟი და გადახდილია 83,331 ლარი, თუმცა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სამუშაოები არ შესრულებულა. კერძოდ, 8,341 გრძ. მ საჰაერო სივ. კაბელი, ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული 2,16მმ კვეთისა, დამონტაჟებულია ნაკლები, 2.1 მმ კვეთის, თუმცა მერიის მიერ გადახდილია მიმწოდებელზე ხელშეკრულების სრული ღირებულება, 13,774 ლარი.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <p><b>დასკვნა</b></p>                                                   | <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები არასრულყოფილად არის შესრულებული. კერძოდ, ფარული სამუშაოს აქტების წარმოდგენის გარეშე მიმწოდებლებზე გადახდილია 42,263 ლარი, ხოლო დათვალერებით დადგინდა, რომ მინიმუმ 8,341 გრძ.მ 13,774 ლარის ღირებულების საჰაერო კაბელი პროექტთან შეუსაბამოდ არის დამონტაჟებული. აღნიშნული გარემოებები საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვაზე მიუთითებს და წარმოშობს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არამართლზომიერი ქმედების რისკებს.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| <p><b>რეკომენდაცია N2</b><br/><b>ქედის მუნიციპალიტეტის მერიას:</b></p>  | <p>მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რაც დროულად და სრულად გამოავლენს სატენდერო პირობებთან შეუსაბამოდ შესრულებულ სამუშაოებს და უზრუნველყოფს მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ განახორციელოს მიმწოდებლებზე დაუსაბუთებლად გადახდილი თანხის იდენტიფიცირება და ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხვა, ხოლო შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| <p><b>2.1.3 არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებული შესყიდვები</b></p> | <p><b>კრიტერიუმი:</b> მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,<sup>11</sup> სახელმწიფო შესყიდვის ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა. სატენდერო კომისიამ, მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში, უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ. ამავდროულად, სატენდერო კომისია არ აძლევს პრეტენდენტს დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება არ გამოიწვევს არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.</p> <p><b>ფაქტობრივი გარემოება N1.</b> ქედის მუნიციპალიტეტში, ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულებისათვის, მერიის მიერ 2018 წელს გამოცხადებულ ელექტრონულ</p> |

<sup>11</sup>საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლები N4 ; N27.

ტენდერში<sup>12</sup> მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი.<sup>13</sup> ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, უმცირესი ფასის<sup>14</sup> მქონე პრეტენდენტს ეთხოვა სატენდერო წინადადების დაზუსტება, მათ შორის, საბოლოო ფასის შესაბამისი დაზუსტებული ფასების ცხრილის წარდგენა.

სატენდერო კომისიის მიერ შეთავაზებულ დროში პრეტენდენტმა წარმოადგინა დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაცია და 184,001.000 ლარის ღირებულებით ფასების ცხრილი. კომისიამ შემაჯამებელი რიცხვი გადაიანგარიშა<sup>15</sup> მეათეათასამდე სიზუსტით და ნაცვლად 184,001.000 ლარისა, მიიღო 184,001,0003 ლარი, დააფიქსირა 0.0003 ლარის ზედმეტობა და აღნიშნული მოტივით პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა. შედეგად კი გამარჯვებულად აღიარებულია შემდეგი პრეტენდენტი,<sup>16</sup> რომლის შემოთავაზებული ფასიც 35,844 ლარით აღემატებოდა დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის შეთავაზებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატენდერო კომისიას არ უმსჯელია მათ მიერვე გადაანგარიშებით მიღებული 0.0003 ლარით სახელმწიფო შესყიდვაზე გამოწვეული შესაძლო გავლენის და არსებითი ცვლილების შესახებ.

ანალოგიურად, კონკრეტული პრეტენდენტის სასარგებლოდ, მიდგომითაა შეფასებული და ხელშეკრულების ფასი განსაზღვრული სხვა შემთხვევებშიც,<sup>17</sup> რაც მიანიშნებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მუნიციპალიტეტის ინტერესების საზიანოდ, მიზანმიმართულად პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას და წარმოშობს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტების არაერთგვაროვანი მიდგომის რისკებს.

**ფაქტობრივი გარემოება N2.** დაბა ქედაში ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის<sup>18</sup> გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის პირობებით, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების არანაკლებ 1,000,000 ლარის გამოცდილება. შესყიდვაში მონაწილეობდა ოთხი პრეტენდენტი, ყველაზე დაბალი ფასი კი დააფიქსირა ამხანაგობა „ფარაონი და კომპანია“ – 309,549 ლარი. სატენდერო კომისიის მიერ გათვალისწინებულ ვადაში პრეტენდენტმა წარმოადგინა დაზუსტებული დოკუმენტაცია, თუმცა კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია გამოცდილების შესახებ არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოტივით. პრეტენდენტს სისტემაში ატვირთული აქვს 2,304,288 ლარის სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, საიდანაც სატენდერო კომისიამ დისკვალიფიკაციის საფუძვლად მიიჩნია 672,829 ლარის ღირებულების სამუშაოებზე დოკუმენტაციის წარმოდგენლობა.

<sup>12</sup> მდინარე აკავერეთას ნაპირსამაგრი სამუშაო. 01.01.2018 წ., NAT180003242, სავარაუდო ღირებულება – 230,000 ლარი.

<sup>13</sup> შპს „ზიმო-7“, შეთავაზებული ფასი – 225 154,00 ლარი, შპს „გზები“, შეთავაზებული ფასი – 220, 000 ლარი, შპს „ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“, შეთავაზებული ფასი – 184, 001 ლარი.

<sup>14</sup> შპს „ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“, შეთავაზებული ფასი – 184,001.00 ლარი.

<sup>15</sup> ოქმი N 35-2, 26.03.2018; ოქმი N 35-3, 02.04.2018.

<sup>16</sup> შპს „გზები“. ხელშეკრულება N107, 07.05.2018, ღირებულება – 219,845.45 ლარი, ფაქტიური შესრულება – 213,442 ლარი.

<sup>17</sup> სოფელ დოლოგანთან, საავტომობილო ხიდის მშენებლობა. 17.05.2019, NAT190009793, დაზუსტებული ფასი – 958,325 ლარი. გადაანგარიშების პირობებში – 958,325.0045 ლარი, ფასსხვაობა 0,0045 ლარი და პრეტენდენტი დაექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას; ანალოგიურად, 11.01.2019, NAT190000516, დაზუსტებული ფასი – 78 476.02 ლარი, გადაანგარიშების პირობებში – 78 476.0222 ლარი, ფასის სხვაობა – 0,00220 ლარი; 16.01.2019, NAT190000818, დაზუსტებული ფასი – 79 665.04 ლარი, გადაანგარიშების პირობებში – 79 665.3988 ლარი, ფასის სხვაობა – 0,35880 ლარი; 17.01.2019, NAT190000940, დაზუსტებული ფასი – 90 999.06 ლარი, გადაანგარიშების პირობებში – 90 999.0561 ლარი, ფასის სხვაობა – 0,00390 ლარი; 16.01.2019, NAT190000816, დაზუსტებული ფასი – 39 487.00 ლარი, გადაანგარიშების პირობებში – 39 486.9987 ლარი, ფასის სხვაობა – 0,00130 ლარი; 14.01.2019, NAT190000604, დაზუსტებული ფასი – 36 759.61 ლარი, გადაანგარიშების პირობებში – 36 759.6095 ლარი, ფასის სხვაობა – 0,00050 ლარი; 15.01.2019, NAT190000688, დაზუსტებული ფასი – 34 829.6 ლარი, გადაანგარიშების პირობებში – 34 829.5966 ლარი, ფასის სხვაობა – 0,00340 ლარი.

<sup>18</sup> მდინარე აკავერეთას ნაპირსამაგრი სამუშაოები. 30.01.2019, NAT190001995, სავარაუდო ფასი 402,044 ლარი. გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გაბიონი 2000“, ხელშეკრულება N 116, 29.05.2019, – 369,419 ლარი.

ფაქტობრივად პრეტენდენტს შესაბამისი დოკუმენტაცია არ აქვს წარმოდგენილი მხოლოდ 424,245 ლარის სამუშაოებზე.<sup>19</sup>

აღნიშნულ პირობებში, კომისიამ გამარჯვებულად აღიარა შპს „გაბიონი 2000“, სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 363,419 ლარი, რაც 53,870 ლარით აღემატებოდა დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებულ ფასს. აღნიშნული მიუთითებს, რომ მერიის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა არ შეაფასეს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სიზუსტე და არ გაითვალისწინეს ანალოგიური სახის სამუშაოების შესრულების ფაქტობრივი მდგომარეობა, რაც წარმოშობს მუნიციპალიტეტის ინტერესების საზიანოდ, პრეტენდენტის მიზანმიმართულად დისკვალიფიკაციის რისკს.

**ფაქტობრივი გარემოება N3.** ქედის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო ხიდის მშენებლობის სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა მდინარე აჭარისწყალზე, ოთხ ბურჯზე, სამმალიანი, 18 მეტრიანი, ჯამში, 60.2 მეტრის სიგრძის ხიდის მშენებლობას. სატენდერო წინადადების მიხედვით, ტენდერში<sup>20</sup> მონაწილე პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს:

- ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის ახალი ხიდების მშენებლობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით, არანაკლებ 1,000,000 ლარი;
- ერთი ხელშეკრულებით, არანაკლებ, 300,000 ლარის ღირებულების ახალი ხიდის მშენებლობა.

შესყიდვაში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი - შპს „სინათლე -2006“, რომელსაც გამოცდილების დამადასტურებელ მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს 5 ხელშეკრულების ფარგლებში 1,289,557 ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოს მასალები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდილება,<sup>21</sup> კერძოდ, მას არ აქვს ოთხ ბურჯზე, სამმალიანი და ჯამში, 60,2 მეტრის სიგრძის ახალი ხიდის მშენებლობის გამოცდილება, თუმცა სატენდერო კომისიას აღნიშნულ საკითხზე არ უმსჯელია, აღიარეს გამარჯვებულად და 958,325 ლარის ღირებულების სამუშაოებზე გაფორმებულია ხელშეკრულება. აუდიტის მიმდინარეობისას, ხიდის ვიზუალური დათვალიერებით, ხიდის პირველ ბურჯზე, ბეტონის კონსტრუქციულ ნაწილზე შეინიშნება ბზარები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესრულებული სამუშაოების ღირებულება, 958,325 ლარი დადასტურებულია ექსპერტის მიერ და წარმოდგენილია ინსპექტირების ანგარიში,<sup>22</sup> სადაც ასახულია, რომ ფარული სამუშაოების აზომვა არ განხორციელებულა. წარმოდგენილი დოკუმენტებით კი ირკვევა, რომ მთლიან შესრულებულ სამუშაოებში 133 დასახელების, 953,503 ლარის სამუშაოები ფარულია, ანუ ექსპერტის მიერ ფაქტობრივი აზომვა<sup>23</sup> განხორციელდა მხოლოდ სამუშაოების 0,5%-ზე. ამასთანავე, ფარული სამუშაოს აქტებიც არასრულყოფილადაა შედგენილი. კერძოდ, სულ 61 ფარული სამუშაოს აქტიდან 27 აქტზე არ არის ასახული სამუშაოს

<sup>19</sup> 248,584 ლარის სამუშაოებზე დოკუმენტაცია წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო იმ დოკუმენტებით, რომლებიც სატენდერო კომისიამ ჩათვალა სწორად, ანალოგიური სახის სამუშაოების შესრულების ღირებულება შეადგენს 1,631,459 ლარს.

<sup>20</sup> ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანთან დუმბაძეების უბანი, 17.05.2019, NAT190009793, სავარაუდო ღირებულება 978.336 ლარი.

<sup>21</sup> SPA 160008368 – 529,573 ლარი, მოწყობილია 3 ბურჯზე, ორმალიანი (18,2+8,7); NAT 170010031 – 389,997 ლარი, მოწყობილია 3 ბურჯზე, ორმალიანი; NAT 180001731 – 122,318 ლარი, მოწყობილია 2 ბურჯზე; NAT 180001355 – 66,136 ლარი, მოწყობილია 2 ბურჯზე და NAT 180020668 – 181,533 ლარი, მოწყობილია 2 ბურჯზე.

<sup>22</sup> ინსპექტირების ანგარიში N RU-R.MB.04.16-117/19, შპს „რუსკა-2000“, ს/კ 429650950.

<sup>23</sup> 958,325-4,822=953,503 ლარი; 4,822/958,325=0,5%.

|                                                                                |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
|--------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                                                | <p>ფაქტობრივად შესრულების თარიღი, მით უმეტეს, რომ აქტებში ასახულია დიდი მოცულობის სამუშაოები, როგორებიცაა გრუნტის ტრანსპორტირება – 3,902 ტ, გრუნტის გატანა ნაყარში – 464,1 ტ, ბეტონის ტრანსპორტირება 20 კმ-დან და სხვა, ასევე წარმოდგენილია აქტი არმირების მოწყობაზე, თუმცა რა სახის არმირება განხორციელდა არ დგინდება.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| <b>დასკვნა</b>                                                                 | <p>მერიის მიერ, არათანაბარი კონკურენციის პირობებში, არაერთგვაროვანი მიდგომით ხორციელდება პრეტენდენტების შერჩევა. შედეგად, გამარჯვებულად გამოვლინდა 2 შემთხვევაში, ჯამში, 89,714 ლარით მაღალი ფასის წარმომდგენი და შესაბამისი გამოცდილების არმქონე პრეტენდენტები. აღნიშნული გარემოება სახელმწიფო შესყიდვის კონკრეტულ პრეტენდენტზე მისადაგების და ფულადი სახსრების არაეფექტიან ხარჯვაზე მიუთითებს. ამასთანავე, პროექტის შესაბამისად, 953,503 ლარის ღირებულების ფარული სამუშაოების ფაქტობრივად შესრულება რისკის შემცველია, რაც შესაძლოა შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არამართლზომიერი ქმედებით იყოს გამოწვეული.</p>                                                                         |
| <b>რეკომენდაცია N3</b><br><b>ქედის მუნიციპალიტეტის მერიას:</b>                 | <p>მერიამ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პრეტენდენტების მიმართ სამართლიან და ერთგვაროვან მიდგომას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ განიხილოს არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების, გამოცდილების არმქონე პრეტენდენტის გამარჯვებულად გამოცხადებისა და სათანადო დასაბუთების გარეშე ფარულ სამუშაოებზე ხარჯის გაწევის მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.</p>                                                                                                                                                                                                                    |
| <b>2.2 საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა-სარგებლობა</b>                          | <p>ქედის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 18 შემთხვევაში გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი, შესყიდულია საპროექტო დოკუმენტაცია და გადახდილია მიმწოდებელზე 184,193 ლარი.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| <b>2.2.1 საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა - სარგებლობაში არსებული ხარვეზები</b> | <p><b>კრიტერიუმი:</b> მოქმედი რეგულაციების შესაბამისად,<sup>24</sup> სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპით, სათანადო დაგეგმვის საფუძველზე. მერიის ინფრასტრუქტურული ღონისძიების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებით,<sup>25</sup> მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი კონკრეტული საპროექტო სამუშაოები შეასრულოს სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებით. პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების, ასევე დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენისას პროექტების</p> |

<sup>24</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებები და რეკომენდაციები.

<sup>25</sup> ხელშეკრულებები: შპს „პროექტი“, N198, 09.12.2018; შპს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“, N8, 22.01.2018; შპს „საბა“ N36, 19.02.2018; შპს „არქიტექტურის გეგმვა“, N48, 29.02.2018. მომსახურების სახეობა მოიცავს კვლევა-ძიებას და კამერალურ სამუშაოებს; საპროექტო სამუშაოებს; სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას; ნახაზების შედგენას და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენას; დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენას და ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას.

ღირებულება მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებით და ღირებულებებით.

**ფაქტობრივი გარემოება N1.** ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის მერიის მიერ შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 8,059,552 ლარით. შესყიდვის პროცედურები განხორციელდა 16 პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე, რომლის სავარაუდო ფასი შეადგენს 3,597,455 ლარს და ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შემცირდა 314,338 ლარით და შეადგინა 3,283,117 ლარი, ხოლო ხელშეკრულებებში სისტემატურად განხორციელებული ცვლილებებით და საბოლოოდ, ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით, რეალური ფასი კვლავ შემცირდა 51,538 ლარით და შეადგინა 3,231,579 ლარი, ანუ ჯამში პროექტებით განსაზღვრულ ფასსა და ხელშეკრულების შესრულების საბოლოო ფასს შორის სხვაობამ 365,000 ლარზე მეტი შეადგინა. მიუხედავად აღნიშნულისა, შემსყიდველმა არ გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებით<sup>26</sup> და პროექტის ავტორებზე გადახდილია სრული სახელშეკრულებო ღირებულება, ჯამში, 108,582 ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, რომ შესასრულებელი სამუშაოების ფასების შემცირება, ძირითადად, საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზით შედგენამ განაპირობა. არასრულყოფილად შედგენილი პროექტების გამო, სისტემატურად იცვლება ხელშეკრულებათა პირობები, დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამუშაოები და არსებული სამუშაოების შემცირების ხარჯზე დამატებულია სხვა ახალი სამუშაოები, კერძოდ:

- ქედის მუნიციპალიტეტის პირველი მასის ბაგა-ბაღის რემონტის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი.<sup>27</sup> გამარჯვებულად გამოვლინდა შპს G.I.B architecture, რომელსაც გაუფორმდა ხელშეკრულება, შესყიდულია საპროექტო დოკუმენტაცია და გადახდილია 1,473 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პროექტის საფუძველზე განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვა და სამუშაოების შესრულებისათვის შპს „ლადასთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება,<sup>28</sup> თუმცა სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე ხელშეკრულებაში 3-ჯერ განხორციელდა ცვლილება, სხვადასხვა მოტივით. კერძოდ, პროექტში არ იყო გათვალისწინებული საქვების სახურავი, პროექტით განსაზღვრული არსებული შენობის სახურავის ახლად მოწყობა შეიცვალა შეკეთებით. ამასთანავე, პროექტში არასწორი იყო და შესაცვლელი გახდა სეპტიკის ნახაზი და ხარჯთაღრიცხვა,<sup>29</sup> ასევე შესაცვლელი გახდა გათბობის სისტემის სამუშაოები. აღნიშნული ხარვეზების მიხედვით, შეცვლილია პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება 31,379 ლარით,<sup>30</sup> რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი სამუშაოების 28%-ს შეადგენს. ამასთანავე, არასწორად შედგენილი პროექტების გამო დაგვიანდა

<sup>26</sup> ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%, ჯამში 1,085 ლარი.

<sup>27</sup> შპს „არქ ბილდ კომპანი“ – 2,375 ლარი; შპს „სითი არტ დეისი“ – 2,900 ლარი და შპს G.I.B architecture – 2,945 ლარი.

<sup>28</sup> NAT 190010542, ხელშეკრულება N164, 19.08.2019, სავარაუდო ფასი – 141,320 ლარი, ხელშეკრულების ფასი – 113,068 ლარი, საბოლოო ფასი – 109,548 ლარი.

<sup>29</sup> დეტალური ინფორმაცია, თუ რატომ გახდა შესაცვლელი მითითებული არ არის.

<sup>30</sup> შემცირდა 13,929 ლარის ღირებულების და დამატებულია ახალი, 17,450 ლარის ღირებულების სამუშაოები.

ინფრასტრუქტურული ღონისძიების შესრულება. სამუშაოების დასრულების დრო 2019 წლის აგვისტოს ნაცვლად განისაზღვრა 10 დეკემბერი. აღნიშნული გარემოების გამო, სააღმზრდელო პროცესი გადატანილია მუნიციპალიტეტის სხვა ბალებში.<sup>31</sup>

ანალოგიური ხარვეზებია დაბა ქედაში საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის, რეაბილიტაციის სამუშაოების<sup>32</sup> და ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოების<sup>33</sup> საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაში, კერძოდ:

- საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის და რეაბილიტაციის სამუშაოების<sup>34</sup> სავარაუდო ფასი შეადგენს 122,564 ლარს, სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე ხელშეკრულებაში 2-ჯერ განხორციელდა ცვლილება, საბოლოო ფასი განისაზღვრა 60,003 ლარით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით<sup>35</sup> დადგინდა, რომ პროექტის მიხედვით გათვალისწინებული გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა არ იყო საჭირო და ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა 36,663 ლარით. ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებთან<sup>36</sup> დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2018 წლის 14 ნოემბრამდე, თუმცა მშენებარე გზის მონაკვეთზე არსებული არამდგრადი გრუნტის არსებობის მოტივით, შეიცვალა პროექტით გათვალისწინებული გაბიონის მოცულობები და სამუშაოს შესრულების ვადა გაგრძელდა 2019 წლის 30 ივნისამდე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის ხელშეკრულება ითვალისწინებს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის საჯარიმო სანქციის დაკისრებას,<sup>37</sup> რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

<sup>31</sup> ბაღში იყო, საშუალოდ, 35 აღსაზრდელი. რემონტის პერიოდში პედაგოგები და ბავშვები გადანაწილებული არიან აწგვის, ქედის N1 და N2 ბალებში.

<sup>32</sup> ინდ. მეწარმე რევაზ დიდმანიძე.

<sup>33</sup> შპს „არქპროექტი“. ქვედა ბზუბზუს ჩანჩქერთან ტურისტული მარშრუტის მოწყობისათვის ტერიტორიის კეთილმოწყობა – 3,450 ლარი.

<sup>34</sup> NAT 190000815, ხელშ. N52, 06.03.2019, შპს „ემეტე“ – 96,666 ლარი.

<sup>35</sup> შეთანხმება N2, 03.05.2019, ინდ. მეწარმე რევაზ დიდმანიძის წერილი N14, 17.04.2019.

<sup>36</sup> NAT 180014162, ხელშეკრულება N225, 15.10.2018, ინდ. მეწარმე ავთანდილ სანიკიძე - 25,999 ლარი.

<sup>37</sup> ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%.

**ფაქტობრივი გარემოება N2.** ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2018-2019 წლებში, პარკების, მოედნების, გარე განათებებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის შეისყიდა სულ 143 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის შედგენის მომსახურება. წარმოდგენილი დოკუმენტებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულია მომსახურება და გადახდილია ბიუჯეტიდან 184,193 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ 17 პროექტით გათვალისწინებული 255,359 ლარის ღირებულების სამუშაოებისთვის 2019 წელს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მზად იყო და მისი შესყიდვისთვის ბიუჯეტიდან გადახდილია 6,155 ლარი, სამუშაოების შესყიდვა 2019-2020 წლების ბიუჯეტით არ განხორციელებულა და არც 2021-2024 წლების პრიორიტეტის დოკუმენტებით არის გათვალისწინებული, რაც მიუთითებს, რომ პროექტის შესყიდვა განხორციელდა გარემოებათა დეტალური ანალიზის გარეშე. ამასთანავე, ბაზარზე ფასების ცვლილების გათვალისწინებით, შესაძლოა შემდგომში აღნიშნული პროექტი არ გამოიყენონ, ან სახარჯთაღრიცხვო ნაწილის გამოყენება შესაძლოა არარელევანტური გახდეს.

### დასკვნა

ქედის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისათვის 16 შემთხვევაში, შესყიდვების მიერ პროექტის მიმწოდებელზე ბიუჯეტიდან გადახდილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული თანხა – 108,582 ლარი, თუმცა შესყიდვის პროცესში ბაზრის კვლევა ჩატარდა ხარვეზებით, არასწორად განისაზღვრა სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, საპროექტო დოკუმენტაციის მიღების ეტაპზე არ განხორციელდა ინსპექტირება, მიღებულია 365,000 ლარზე მეტი ღირებულების ხარვეზით შედგენილი პროექტი, რის შედეგად დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამუშაოები. ამასთანავე, არ იქნა გამოყენებული 6,155 ლარად შესყიდული 17 პროექტი, აღნიშნული მიუთითებს რომ საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა, რიგ შემთხვევებში, ხორციელდება გარემოებათა დეტალური ანალიზის გარეშე, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვაზე მიუთითებს და წარმოშობს არამართლობიერი ქმედების რისკებს.

### რეკომენდაცია N4 ქედის მუნიციპალიტეტის მერიას:

მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზანშეწონილობას და ხელშეკრულების შესრულებაზე სათანადო მონიტორინგს. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების უკეთ წარმოებას და მინიმუმამდე შეამცირებს ხარვეზებით შედგენილი პროექტების მიღებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გამოიკვლიოს შესყიდვაში არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

### 2.3 საკრებულოს წევრების ანაზღაურებაში არსებული ხარვეზები

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, რომელიც არ წარმოადგენს საკრებულოს თანამდებობის პირს, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად,<sup>38</sup> მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და

<sup>38</sup> „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები. გაწეული ხარჯის ანაზღაურება ხორციელდება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის საფუძველზე.

**ფაქტობრივი გარემოება:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებს, 2018-2019 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ, ჯამში, 100,800 ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. „თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე, რადგან შეუძლებელია საკრებულოს ყველა წევრს ჰქონდეს ერთი და იგივე შესასრულებელი დავალება და იდენტური ხარჯი.

#### დასკვნა

ქედის მუნიციპალიტეტმა, 2018-2019 წლებში, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ხარჯის ანაზღაურების მიზნით, გასცა სულ 100,800 ლარი.

#### რეკომენდაცია N5 ქედის მუნიციპალიტეტის მერიას:

მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. შესაბამისად, ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის პირობებში.

#### 2.4 შიდა აუდიტთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

**კრიტერიუმი:** შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციაა ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. შიდა აუდიტის სუბიექტი აფასებს რისკის მართვის პროცესების ეფექტიანობას და ხელს უწყობს მათ გაუმჯობესებას. სამსახური ეხმარება დაწესებულებას ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების შენარჩუნებაში, ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებისა და მუდმივი სრულყოფის ხელშეწყობის გზით<sup>39</sup>. მნიშვნელოვანია, სამსახურმა შეისწავლოს მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, შეაფასოს შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები. სამსახურმა უნდა უზრუნველყოს სისტემური ხარვეზების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება. შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომლებიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას, ორგანიზაციის აქტივების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო წარმოებას და სხვ.; რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს

<sup>39</sup> საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1015 განკარგულება „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

**ფაქტობრივი გარემოება:** მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, 2018-2019 წლებში ჩატარდა 10 აუდიტორული შემოწმება<sup>40</sup>. წარმოდგენილი მონაცემებით, შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუსწავლია მერიის სამსახურების საქმიანობა. სამსახურს არ განუხორციელებია წინასწარი შესწავლისა და რისკის შეფასების სათანადო პროცედურები. აღნიშნული პროცედურების საფუძველზე უნდა მომხდარიყო მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ძირითადი რისკების, არსებული დარღვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა სახის კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორების მიზნით გაცემულია რეკომენდაციები. თუმცა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, 2018-2019 წლებში გაწეული საქმიანობის შედეგად, ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად. კერძოდ, მიმდინარე აუდიტის პერიოდში გამოვლინდა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულებაში არსებული ხარვეზები, შესყიდვების მართვაში არსებული ნაკლოვანებები და რისკის შემცველი გარემოებები და სხვ.

## დასკვნა

მერიის შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუფასებია, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება მერიის ფინანსების გამოყენება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.; მერიის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მერიის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

## რეკომენდაცია N6 ქედის მუნიციპალიტეტის მერიას:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლასა და შეფასებას, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი.

<sup>40</sup> შემოწმდა: 4 შპს და 6 თემატური საკითხი, კერძოდ: მივლინების და საწვავის ხარჯები; წყალმომარაგების მიწების შეძენაზე გაწეული ხარჯები და მუნიციპალური ქონების მართვა.

## 2.5 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე გაცემულია 10 რეკომენდაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსასწორებლად გატარებულია სხვადასხვა ღონისძიება, თუმცა რიგ საკითხებთან დაკავშირებით, სრულყოფილად არ არის გატარებული საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები, კერძოდ:

- საკრებულოს არათანამდებობის წევრების უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯებზე არ არის წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები;
- სრულყოფილად არ არის აღმოფხვრილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას არსებული ხარვეზები, როგორებიცაა, სამუშაოების შესყიდვისას ბაზრის კვლევა და ფარული სამუშაოს აქტების წარმოება.

### აუდიტორები

### ხელმოწერა

ნადიმ ბოლქვაძე

მთავარი აუდიტორი

ნ. ბოლქვაძე

გურანდა გვაზავა

უფროსი აუდიტორი

გ. გვაზავა

ნინო ჩაგანავა

აუდიტორ-ასისტენტი

ნ. ჩაგანავა

გიორგი აბულაძე

აუდიტორ-ასისტენტი

გ. აბულაძე

## საკონტაქტო ინფორმაცია

|                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|-----------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ვებგვერდი და<br/>სოციალური მედია</b> | <a href="https://www.sao.ge/">https://www.sao.ge/</a><br><a href="https://www.budgetmonitor.ge/ka">https://www.budgetmonitor.ge/ka</a><br><a href="http://www.blog.sao.ge/">http://www.blog.sao.ge/</a><br><a href="http://www.sai.ge/main/">http://www.sai.ge/main/</a><br><a href="https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/">https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/</a><br><a href="https://www.youtube.com/user/saogeorgia">https://www.youtube.com/user/saogeorgia</a><br><a href="https://www.facebook.com/www.sao.ge">https://www.facebook.com/www.sao.ge</a> |
| <b>ცხელი ხაზი</b>                       | (+995 32) 243 81 81                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| <b>ელექტრონული ფოსტა</b>                | <a href="mailto:sao@sao.ge">sao@sao.ge</a>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38